პროგრამის დასახელება მაკროეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - მეცნიერებათა მაგისტრი ეკონომიკაში (მაკროეკონომიკა) **(MSc in Economics (Macroeconomics))**

პროგრამის ხელმძღვანელი : სრული პროფესორი ნოდარ ხადური

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- <u>**მიზანი:**</u>

იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკა სწავლობს ეკონომიკურ ქცევებს, რომლებიც ზემოქმედებენ მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობაზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე, აგრეთვე ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ***სამაგისტრო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს ეკონომისტთა მაღალკვალიფიციური კადრები*** ეროვნული შემოსავლის, ფასების დონის, საგარეო ვაჭრობის, უმუშევრობის, საგადამხდელო ბალანსის და სხვა აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისა და ანალიზისათვის, რომლებთაც ექნებათ:

- ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პრობლემების და თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნა;

- მაკროეკონომიკურ დონეზე ემპირიული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების უნარი;

- თანამედროვე უცხოურ და სამამულო ლიტერატურაზე მუშაობის უნარი და მაკროეკონომიკური პროცესების შეფასების შესაძლებლობა;

- საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით თეორიული ცოდნისა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა;

- არსებული მაკროეკონომიკური მოდელების, კონცეპციების და მაკროპროცესების მოდელირების (მ.შ. ეკონომეტრიკული) პრინციპების სიღრმისეული ცოდნა და პროგნოზირების და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში მათი გამოყენების შესაძლებლობა;

- მაკროეკონომიკაში დამოუკიდებელი კვლევების წარმართვის შესაძლებლობა;

- უცხოურ ლიტერატურაზე, ინტერნეტ-რესურსებზე თავისუფალი მიწვდომადობა, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო კვლევების მომზადების უნარი;

- მაკროეკონომიკის, მაკროეკონომიკური თეორიის სწავლების ჩვევები.

- <u>**შედეგი:**</u>

მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში (მაკროეკონომიკა) მიენიჭებათ მაგისტრანტებს, რომლებიც პროგრამის საფუძველზე მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შეძლებენ: ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასებასა და ანალიზს, უზრუნველყოფენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი გარემო პირობების შექმნას, გაანალიზებენ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ ფასებისა და ხელფასების ცვლილება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის დეფიციტი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და სხვა; ასევე, შეძლებენ სიტუაციების შესაბამისად იმოქმედონ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- <u>**დასაქმების სფეროები**</u>:

შრომის ბაზარზე მაკროეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში. კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე პასუხისმგებელ ისეთ სტრუქტურებში, როგორებიცაა *საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის აპარატი, მთავრობის აპარატი, ეროვნული ბანკი, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები.* ასევე, სამეცნიერო, და ანალიტიკურ სტრუქტურებში, უმაღლეს სასწავლებლებში, უცხოურ ორგანიზაციებში, სოლიდურ კომერციულ დაწესებულებებში, წამყვან კომერციულ ბანკებში. ისინი შეძლებენ ექსპერტებად, ანალიტიკოსებად და პროგნოზისტებად მუშაობას.

- <u>**პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**</u>

პროგრამაზე მიღების პირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია (სასურველია ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, ეკონომიკურ გეოგრაფიაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში); ერთი მაინც უცხო ენის (სასურველია ინგლისური, გერმენული, ფრანგული, ან რუსული ენის) ცოდნა A2 დონეზე; კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები; პროგრამაზე მიღებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სტაჟირებისა და პროფილით მუშაობის გამოცდილების მქონე კონკურსანტებს, ასევე მათ, ვისაც მონაწილეობა აქვთ

მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, აქვთ სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები. მაგისტრატურაში მიღება მოხდება გამოცდით .